ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N94

2018 წლის 26 მაისი

ქ. ქობულეთი

## ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ" ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ბ." ქვეპუნქტის შესაბამისად:

1.მიეცეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს (მ.ქათამაძე) თანხმობა გადასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით ქ.ქობულეთში, მ.აბაშიძის ქუჩა N14-ის მიმდებარედ 4585,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 226.0 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ 20.42.08.500) 2 (ორი) წლის ვადით იჯარის ფორმით სარეკლამო კომპანიის ოფისის განთავსების მიზნით ფ/პ ვახტანგ აბაშიძეს;

2. ქ.ქობულეთში, მ.აბაშიძის ქუჩა N14-ის მიმდებარედ 4585,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 20.42.08.500) 226.0 კვ.მ მიწის ნაკვეთის წლიური საწყისი საიჯარო ქირის საფასური განისაზღვროს 2260 (ორი ათას ორას სამოცი) ლარის ოდენობით.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ა.ანანიძე);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე — დ.მჭედლიშვილი